



ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

№ 3

ქ. ბათუმი

2018 წლის 27 თებერვალი
11⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - სულიკო თებიძე

მ ს ჯ რ ე ბ ო ღ ნ ე ნ :

- | | |
|----------------------|----------------------------------------------------------------------------------------|
| თამაზ სალუქვაძე | - საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე |
| გოჩა მგელაძე | - საკრებულოს ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| ირაკლი პატარიძე | - საკრებულოს განათლების, კულტურის, ტურიზმისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| დიმიტრი ჭეიშვილი | - საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ზურაბ ნაკაიძე | - საკრებულოს საფინანსო და ეკონომიკური განვითარების კომისიის თავმჯდომარე; |
| ომარ მახარაძე | - საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე; |
| ბესარიონ გოგოტიშვილი | - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე; |
| ანზორ დევაძე | - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე; |

ნატალია ძიმიგური	- საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე;
მირდატ ქამადაძე	- საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე;
ნოდარ დუმბაძე	საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე;
დავით მახარაძე	-საკრებულოს წევრი;
თამაზ დევაძე	საკრებულოს წევრი;
ელგუჯა ანდრიაძე	- საკრებულოს წევრი;
ირაკლი მიქელაძე	-საკრებულოს წევრი;
ლევან ანთაძე	-საკრებულოს წევრი;
რაულ თავართქილაძე	-საკრებულოს წევრი;
არჩილ მამულაძე	-საკრებულოს წევრი;
მუხამედ ართმელაძე	- საკრებულოს წევრი;
არ ესწრებოდნენ:	
ლაშა სირაბიძე	- საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე
ნატალია ზოიძე	- საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე;
ნერიმან ცინცაძე	- საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოადგილე;
როინ ზოიძე	- საკრებულოს წევრი;
ირაკლი თოფურაძე	- საკრებულოს წევრი;

სხდომას ესწრებოდნენ:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი- ე. ლომაძე;

ქალაქ ბათუმში, ზ. გამსახურდიას ქ.№11-ში 2013 წლის 21 სექტემბერს მომხდარი ხანძრის შედეგად დაზარალებული მოქალაქეები.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი რეგლამენტით გათვალისწინებული საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები: საკრებულოს აპარატის უფროსი-რაულ ბოლქვაძე; საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი - სულიკო შვენთიძე; საქმისწარმოების განყოფილების უფროსი - მადონა თურმანიძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - მზევინარ წულუკიძე; მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი - ლელა ნემსაძე, ამავე განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ბადრი წულუკიძე.

პრესისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე ს. თებიძე სხდომის მონაწილეებს მიესალმა და საკრებულოს წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. „სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ევარსლან ლომაძე)

2. „ქალაქ ბათუმში, ზ. გამსახურდიას ქ.№11-ში 2013 წლის 21 სექტემბერს მომხდარი ხანძრის შედეგად დაზარალებულ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ევარსლან ლომაძე)

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ ყოველგვარი კანონმდებლობის დარღვევით საკრებულოს ბიურომ დღის წესრიგში არ შეიტანა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შემოსული „საბავშვო ბაღების პედაგოგთა და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების მინიმუმ 100 ლარით გაზრდის თაობაზე წინადადების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტი. წარმოდგენილი პროექტი ემსახურება ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიისთვის რეკომენდაციას (თხოვნას) - ბიუჯეტში ცვლილებების განხორციელების თაობაზე, რომლის შემდგომაც ბათუმის ბაღების პედაგოგების და თანამშრომლების ხელფასები უნდა გაიზარდოს მინიმუმ 100 ლარით.

საკრებულოს წევრმა ო. მახარაძემ აღნიშნა, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარმოდგენილი ინიციატივის შესახებ, კომისიამ იმსჯელა განკა-

რგულების პროექტის, როგორც სამართლებრივ ასევე კომპეტენციის ნაწილის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი პროექტის სამართლებრივი მხარე არ ჯდება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მოთხოვნებში.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ აღნიშნა, რომ ბათუმის საბავშვო ბაღის თანამშრომლების ხელფასები 80 ლარით გაზრდილია.

საკრებულოს წევრის ლ. ანთაძის განცხადებით, საბავშვო ბაღების თანამშრომლებს ხელფასი არ გაზრდიათ. საკანონმდებლო ცვლილების შესაბამისად, მოხდა პრემიის, დანამატისა და ხელფასის გაერთიანება. სხდომის თავმჯდომარის ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს. მათი სახელფასო ფონდიდან მოხდა თანხის გადმოტანა და არა ზრდა.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგში ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ წარმოდგენილი ინიციატივა „საბავშვო ბაღების პედაგოგთა და თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების მინიმუმ 100 ლარით გაზრდის თაობაზე წინადადების მოწონების შესახებ განკარგულების პროექტის დამატება დააყენა კენჭისრაზე.

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა - 20 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 5 (ლ. ანთაძე, მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე, რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე)

წინააღმდეგი - 15

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი დღის წესრიგი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას: ესწრებოდა - 20 საკრებულოს წევრი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 15

წინააღმდეგი - 3 (ლ. ანთაძე, მ. ქამადაძე, ნ. დუმბაძე)

არ მიიღო მონაწილეობა - 2 (რ. თავართქილაძე, ა. მამულაძე)

საკრებულოს წევრმა ა. მამულაძემ აღნიშნა, რომ ბათუმში ბარცხანის ტერიტორიაზე გზის გადათხრასთან დაკავშირებით საცობია, რის გამოც მოითხოვა შესაბამისი სამსახურის მისამართით გადათხრილი გზის ზედაპირის გასწორება.

საკრებულოს წევრს ნ. დუმბაძეს იმედი ჰქონდა, რომ საკრებულოს სხდომა წუთიერი დუმილით დაიწყებოდა. მიმდინარე წლის 22 თებერვალს ოკუპირებული ცხინვალის წარმომადგენლებმა, საქართველოს მოქალაქე არჩილ ტატუნაშვილი დააკავეს, რომელიც 23 თებერვალს ოკუპირებულ ქალაქ ცხინვალის საავადმყოფოში გარდაიცვალა და ოჯახს ცხედარს არ უბრუნებენ. ასევე მან საკრებულოს თავმჯდომარეს დაუსვა კითხვები: კერძოდ, მათი ინფორმაციით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე განათლების მინისტრად მუშაობის პერიოდზე და აინტერესებს

სიმართლეს შეესაბამება თუ არა? ქონებრივი დეკლარაციით შეძენილი აქვს სამი საცხოვრებელი ბინა, როდესაც პედაგოგის ხელფასით ვერ შეიძენდა. საკრებულო-სთვის მოითხოვა სხდომის თავმჯდომარის მიერ განმარტება.

საკრებულოს წევრმა მ. ქამადაძემ აღნიშნა, რომ სხდომა წუთიერი დუმილით უნდა დაწყებულიყო, რადგან ოკუპანტური რეჟიმის მიერ დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად დაიღუპა საქართველოს მოქალაქე არჩილ ტატუნაშვილი. დღეს ხელისუფლება ისეთია, რომ ბიძინა ივანიშვილის ხე უფრო ფასობს, ვიდრე მოქალაქეები, ასევე პედაგოგების ხელფასების გაზრდაზე მსჯელობაც არ უნდათ, როცა მსგავსი საკითხი წინა საკრებულოს სხდომებზე დამტკიცდა. კანონმდებლობით მინიჭებული უფლებების შეზღუდვა არასწორია. აქედან გამომდინარე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები არ მიიღებენ წარმოდგენილი საკითხების განხილვაში და პროტესტის ნიშნად ტოვებენ საკრებულოს სხდომას.

საკრებულოს წევრმა ნ. ძიძიგურმა აღნიშნა, რომ ნაციონალური მოძრაობის ასეთი მიდგომები ზღვარგადასულია და აბსოლიტურად მიუღებელია.

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა მ. ქამადაძემ, ლ. ანთაძემ, ნ. დუმბაძემ ბათუმის საკრებულოს სხდომა პროტესტის ნიშნად დატოვეს.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

1. „სახელმწიფო და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 8 ოქტომბრის №784 ბრძანებულებით დამტკიცებული „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიწის ნორმატიულ ფასს საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ არაუგვიანეს ყოველი წლის თებერვლისა, ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოები-საკრებულოები.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა 16 საკრებულოს წევრი
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა: 1 (ა. დევაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მ თ ი ს მ ი ნ ე ს :

2. „ქალაქ ბათუმში, ზ. გამსახურდიას ქ.№11-ში 2013 წლის 21 სექტემბერს მომხდარი ხანძრის შედეგად დაზარალებულ პირთა საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

(მომხს: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური პოლიტიკის სამსახურის უფროსი - ეგარსლან ლომაძე)

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ბათუმის ისტორიულ უბანში ზ. გამსახურდიას ქ. №11-ში 2013 წლის 21 სექტემბერს მომხდარი ხანძრის შედეგად დაიწვა 221 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მდებარე სამსართულიანი საცხოვრებელი შენობა და საცხოვრისის გარეშე დარჩა 9 ოჯახი. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციო შერეული სამთავრობო კომისიის 2014 წლის 02 მაისის საოქმო გადაწყვეტილებით თვითმმართველ ქ. ბათუმის მერიას გამოეყო 45000 ლარი მითითებულ ოჯახებზე გადასაცემად და ასევე მიეცა რეკომენდაცია ხანძრის შედეგად განადგურებული სახლის რეაბილიტაციისათვის ინვესტორთა მოზიდვის ან „ძველი ბათუმის“ პროექტის ფარგლებში სახლის აღდგენის თაობაზე, თუმცა მითითებული სახლის აღდგენა ვერ განხორციელდა და ამ მიზნით ვერც ინვესტორი იქნა მოძიებული. დაზარალებულებს საკუთრებაში გადაეცემათ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საბინაო ფონდში რიცხული ბინები, ამასთანავე მიეცემათ რემონტის თანხები 1 კვადრატულ მეტრზე 250 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხები გათვალისწინებული იქნება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტში, რა მიზნითაც დაგეგმილია შესაბამისი ცვლილებების შეტანა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №41 დადგენილებაში.

სხდომის თავმჯდომარემ ს. თებიძემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

კენჭისყრისას სხდომას ესწრებოდა 16 საკრებულოს წევრი
კენჭისყრისას სხდომას არ ესწრებოდა 1(ა. დევაძე)

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

დ ა ა დ გ ი ნ ე ს : მიღებული იქნა წარმოდგენილი
განკარგულების პროექტი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ოქმის სისწორეს
ვადასტურებ:

რ. ბოლქვაძე — საკრებულოს აპარატის
უფროსი

ვიზირებულია:

ს. შვენთიძე - საკრებულოს
აპარატის იურიდიული
განყოფილების
უფროსი

მ. თურმანიძე - საკრებულოს
აპარატის საქმისწარმო-
ების განყოფილების
უფროსი

ოქმი შეადგინა:

მ. წულუკიძე — საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების
განყოფილების უფროსი
სპეციალისტი

